ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

3 ივლისი, სამშაბათი, 1990 წ.
№ 123 (10 292) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„ხმა ამოიღეს“, თანაც როგორ...

კარგა ხანია ჩვენს ნიჩბოსნებზე არაფერი გვიუწყებია მკითხველისთვის. მითუმეტეს, სახიხარულო. მიზეზი ცხადია: თვითონ „ჩუმად იყვნენ“ და ჩვენ როგორღა „ვიხმაურებდით“.

და. აი, დიდი ხნის დუმილის შემდეგ ჩვენმა ახალგაზრდა „აკადემიკოსებმა“, როგორც იქნა, „ხმა ამოიღეს“ და თანაც როგორ: თრაკაიში ეს-ესაა დასრულდა ახალგაზრდა აკადემიურ ნიჩბოსანთა საკავშირო რეგატა, რომლის მიზანიც მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების კანდიდატების შერჩევა გახლდათ. ჩვენი რესპუბლიკიდან ამ შეჯიბრებაში გამოდიოდა სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ მესაჭიანი ოთხადგილიანი ნავის ეკიპაჟი მ. ჯალაღანიას, ს. აპოსტოლიდის, გ. ხაჩირაშვილის, ბ. ჭანდელაკისა და კ. ციცქიშვილის (მესაჭე) შემადგენლობით. მწვრთნელ გენადი პატარაიას აღსაზრდელებმა მართლაც მშვენივრად გაართვეს თავი ურთულეს ამოცანას — უმძაფრესი კონკურენციის პირობებში არაერთ ძლიერ ეკიპაჟს აჯობეს და პირველი ადგილი დაიკავეს ესოდენ პრესტიჟულ რეგატაში.

როცა მთელი გუნდის იმედი ხარ

საქართველოს მესტენდურეთა მიერ მოპოვებული ჯილდოების მდიდარ „კოლექციას“ კიდევ ორი საამაყო „ნადავლი“ — ევროპის ჩემპიონატის ოქროსა და ბრინჯაოს მედალი — შეემატა, ოღონდ ეს მონაპოვარი, ამჯერად, ვაჟ მსროლელებს არ მიეთვლება: თბილისელმა სნაიპერმა მაია გუბიევამ სსრ კავშირის გუნდის შემადგენლობაში ოქროს მედალი დაიმსახურა, ხოლო „ბრინჯაო“ მის პირად ანგარიშზეა — მესამე ადგილი დაიკავა პირად პირველობაში.

სხვათა შორის, ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც შვეიცარიაში ჩატარდა, ბოლო სერიების წინ ძალზე დაძაბული სიტუაცია შეიქმნა: იმისათვის რომ სსრ კავშირის ნაკრებს გაემარჯვა, მაიას, რომელიც ყველაზე ბოლოს ისროდა, აუცილებლად 22 ქულა უნდა მოეგროვებინა 25 შესაძლებლიდან. და მაიამ ეს შეძლო!

მაია გუბიევამ წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. მისი მწვრთნელია გელა სიმონიანი. მაია თბილისში დღეს ბრუნდება და „ლელოს“ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ ინტერვიუს ევროპის ჩემპიონთან.



* * *

სურათზე: მაია გუბიევა.

მსოფლიოს XIV ჩემპიონატი ფეხბურთში

30 ივნისი: **არგენტინა — იუგოსლავია 3:2 (0:0, 0:0)**
30 ივნისი: **ირლანდია — იტალია 0:1 (0:1)**
1 ივლისი: **ჩსფრ — გფრ 0:1 (0:1)**
1 ივლისი: **კამერუნი — ინგლისი 2:3 (0:1, 2:2)**

საოცრებანი მსოფლიო ფეხბურთში



ინგლისისა და კამერუნის გუნდების შეხვედრაში ინგლისელებმა მხოლოდ უაღრესად მძიმე ბრძოლის შემდეგ შეძლეს ნახევარფინალში გასვლა. სურათზე: ინგლისელ ჯ. ლინეკერს გააქვს II-მეტრიანი.

განვლილ შაბათ-კვირას გამართულ მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალურ შეხვედრათა შედეგად გამოვლინდა ნახევარფინალის ოთხივე მონაწილე.

ნახევარფინალისტთა სავიზიტო ბარათები რეკომენდაციას არ საჭიროებს: არგენტინელები ორჯერ იყვნენ მსოფლიო ჩემპიონები, იტალიელები — სამჯერ, დასავლეთგერმანელები — ორჯერ, ინგლისელები — ერთხელ. ეს თანამედროვე ფეხბურთის ნამდვილი ელიტა გახლავს. ამ გუნდებს არა მარტო ახლანდელი, არამედ, საერთოდ ფეხბურთის არსებობის ისტორიაში უდიდესი დამსახურება მიუძღვით, ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ პროგნოზისტები სწორედ მათ უქადდნენ წარმატებას, მაგრამ მეტად საყურადღებოა ის, თუ როგორ მიაღწიეს ფავორიტებმა მსოფლიო ჩემპიონატის ამ გადამწყვეტ ეტაპს, რა წარმოუდგენელი სიძნელეები გარდახდათ მათ ნახევარფინალისკენ მიმავალ ეკლიან გზაზე. თითოეული ჩვენგანი, ვინც კი საფეხბურთო ცხოვრებას ყურადღებით ადევნებს თვალს, ღრმად დარწმუნებულია, რომ არგენტინელ, იტალიელ, გერმანელ და ინგლისელ ფეხბურთელთა გზა იავარდით არ იყო მოფენილი, არა თუ ყოველი მატჩის მოგებას ან გოლის გატანას, არამედ თითოეულ სათამაშო ეპიზოდში მიღწეულ წარმატებას მათ მხრივ დასჭირდა კოლოსალური შრომა, მაქსიმალური ენერგია და თავდადება. მერვედფინალებში და მეოთხედფინალებში დანიშნული დამატებითი ტაიმები და შემდეგ — დამატებითი 11-მეტრიანები იმ უდიდეს სიძნელეთა დამადასტურებელია, რის დაძლევაც გამარჯვებულებს დასჭირდათ გათამაშების შემდგომ ეტაპზე გასასვლელად.

მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გუნდების ძალთა გათანაბრება, საერთო კლასის ამაღლება, შეუპოვარი ბრძოლა, იმას მიანიშნებს, რომ ფეხბურთში ახლა იოლად გზას ვერავინ გაიკვლევს, ეს არაა ძველმოდური რაინდულ ტურნირებში მოპოვებული ტრიუმფული გამარჯვებები არამედ უშიშავათო, უძნელესი ბრძოლის ძნელი ნაყოფია. ადაც გამარჯვებულები მხოლოდ ხელჩართულ შეტაკებებში აკვლევენ გზას ბარიკადების მაღალი საფეხურებისკენ. ერთ-ერთ იტალიურ გაზეთში მიმომხილველებმა საინტერესო შედარება მოიყვანეს: ინგლისელებისთვის რომ გეკითხათ თუ რა სიძნელეები გარდახდებოდათ კამერუნის გუნდთან მეოთხედფინალურ მატჩში, რა ტიტანური შრომის შედეგად ამოჰყოფდნენ თავს ნახევარფინალში, ფეხბურთის დამფუძნებელნი ალბათ იკითხავდნენ — კამერუნში, საერთოდ, იციან კი ფეხბურთის თამაშიო? ახლა კი ყველა დარწმუნდა, რომ ინგლისის ნაკრებს თავისი არსებობის მანძილზე იშვიათად თუ გადაუტანია ასეთი გაჭირვება და განსაცდელი. დაახლოებით, ასეთივე სურათია სხვა გუნდების შეხვედრისას. გუშინდელი აუტსაიდერები დღეს თამაშობენ სტაბილურად, სოლიდურად, ლაღად და წინასწარ დაგეგმილი იოლი საფეხბურთო ცხოვრება აღარა აქვს არავის.

იხ. მე-3 გვ.



მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩი არგენტინისა და იუგოსლავიის გუნდებს შორის. არგენტინელი გუსტავ დენოტის ზუსტად დარტყმულმა პენალტმა მსოფლიო ჩემპიონები ნახევარფინალში გაიყვანა.

საკდეს-საჭინფორმის ფოტოები.

საქართველოს სპორტსმენთა კავშირი

მის დამფუძნებელ კრებას დაესწრნენ ჩვენი სახელგანთქმული ვეტერანები, სპორტული მუშაკები, სპორტსახკომის წარმომადგენლები. კრების მონაწილენი ერთსულოვანნი იყვნენ, რომ კავშირი მხარში ამოუდგება საქართველოს სპორტსახკომს, სეოკ-ს, სხვა სპორტულ ორგანიზაციებს და ხელს შეუწყობს ჩვენში სპორტის განვითარებას.

კრებამ კავშირის თავმჯდომარედ აირჩია ბორის პაიჭაძე, მოადგილეებად — ნოდარ ჯორჯიკია, ნანა ალექსანდრია, ივანე ბოჭორიძე.

შეიძლება დაგაინტერესოთ...

● **საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კვლევითმა ინსტიტუტმა ხელშეკრულების საფუძველზე დაიწყო თანამშრომლობა საწარმოებთან და ორგანიზაციებთან.**

● **ფოთში** შეიქმნა წყალსათხილამურო სპორტში 1991 წლის ევროპის ჩემპიონატის მომზადებისა და ჩატარების ხელმძღვანელობის შტაბი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. კუხალეიშვილი.

● **ოლიმპიური** თამაშების პრიზიორის ლიანა ცოტაძის ხელმძღვანელობით უნგრეთში საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობისათვის გაემგზავრა წყალში ხტომაში საქართველოს მოზარდთა გუნდი.

● **რესპუბლიკის** სპორტსახკომის ცენტრალურ ბაზაში (ჭავჭავაძის 49-ა) მიღებულია უნივერსალური და უნიკალური, დეფიციტური 30 ტრენაჟორი ერთდროულად 15 მოვარჯიშისათვის, ღირს 17200 მანეთი. ვფიქრობთ, ეს ცნობა დაინტერესებს ორგანიზაციებს და ჯანმრთელობის კოოპერატივებს. ცნობისათვის დარეკეთ 23-51-99.

● **ჭართული** ციკის მოჭირითე ქალთა დახი სამუშაოდ იწვევს 20 წლამდე აკრობატებს, ტანმოვარჯიშეებს და ბატუტზე მხტომელებს, რომლებმაც უკვე გაანბეს თავი სპორტულ შეჯიბრებებში გამოხვლახ.

საგანგებო შემთხვევა

გზაც გაუმრუდეს და ნერვებიც აუწეწეს

ჩვენი მოჭადრაკე ქალები მალაიზიაში გაემგზავრნენ საზონათშორისო ტურნირზე. გზა, ცხადია, მოსკოვზე გადიოდა. იქ კი... ინფორმაცია, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, სავსებით სარწმუნო წყაროებიდან მიიღო გუშინ ჩვენმა რედაქციამ.

საბჭოთა მოჭადრაკე ქალებისა და მათი მხლებლებისთვის აეროფლოტს ბილეთები 29 ივნისისთვის დაუკვეთეს. მიაკითხეს ბილეთებზე და... თურმე აეროფლოტს დაჯავშნული ბილეთები გაუყიდია უცხოურ ვალუტაზე. ცხადია, საკავშირო სპორტსახკომი უმალვე ჩაერია საქმეში, დაიწყო გამოსავლის ძიება. დელეგაციის გამგზავრება მოხერხდა მეორე დღეს, მაგრამ არა მალაიზიაში, არამედ სინგაპურში, იქიდან კი მოჭადრაკეებს ავტობუსით გადაიყვანენ შეჯიბრების ადგილზე. თანაც სინგაპურში ვიზის გარეშე ჩავლენ, თუმცა ქვეყნის ხელისუფალთ ამის შესახებ ეცნობათ. შეფერხების თაობაზე ეცნობა აგრეთვე ფიდე-ს და კამპომანესს, ვინაიდან ჰალიზიაში საზონათშორისო ტურნირი 1 ივლისს იწყებოდა.

როგორ შეიძლება შეფასდეს მოჭადრაკე ქალებისადმი ასეთი უყურადღებობა? ქალთა ჭადრაკს ცენტრი საერთოდ არ სწყალობს, ეს ახალი ამბავი არაა, მაგრამ უპასუხისმგებლობასაც ზომ უნდა ჰქონდეს საზღვარი. როდემდე შეიძლება გაგრძელდეს უხილავი ძალების ასეთი განუკითხავი თავაშვებულობა. ვითომ ცალმხრივად გადაწყვიტა აეროფლოტმა ქვეყნის სპორტული ინტერესების უცხოურ ვალუტაზე „დახურდავება?“

სხვათა შორის, სრული ინფორმაცია გაგვაჩნია იმის თაობაზე, რომ საბჭოთა მოჭადრაკე ვაჟები, რომლებიც ამჟამად მანილაში გამოდიან, ერთი კვირით ადრე ჩაიყვანეს მალაიზიაში, იქ გაიარეს შეჯიბრებისწინა აკლიმატიზაცია. ქალებს კი... ჭირვეული დედინაცვლისა და მომთმენი გერის ამბავს ჰგავს ეს ისტორია.

წოდების მინიჭება

საბჭოთა კავშირის სპორტსახკომმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

ბადმინტონში — რეგინა არამიანცს (ბათუმი, „შევარდენი“).

ცურვაში — შოთა დავითაიას (თბილისი, „შევარდენი“).

სამბოში — ბესიკ ბუჭაშვილს, არჩილ ჩოხელს (ორივე — თბილისი, შეიარაღებული ძალები), ტიტე გოგოლაშვილს, ანზორ ხოზრევანიძეს, ნიკა ნიკოლაიშვილს (სამივე — ოზურგეთი, „შევარდენი“).

პროგნოზი არ გამართლდა

საქართველოს თასის გათამაშება აკრობატიკაში ბათუმში უნდა გამართულიყო, მაგრამ უკანასკნელ მომენტში შეჯიბრების ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, ტურნირის მასპინძლობა თბილისისათვის დაეკისრებინათ. გაუმართლდათ კიდეც— შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩატარდა. ეს ეხება როგორც ორგანიზაციულ საკითხებს, ასევე მონაწილეთა საშემსრულებლო დონეს. ოთხდღიანი ასპარეზობის შედეგად, საქართველოს თასის მფლობელის ვინაობაც გაირკვა. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს თბილისის ნაკრები აღმოჩნდა. მეორე ადგილი რუსთაველმა აკრობატებმა დაისაკუთრეს, ქუთაისელმა და აჭარელმა სპორტსმენებმა შესაბამისად მესამე-მეოთხე ადგილები დაიკავეს. თუ პირველი ოთხეული, ასე თუ ისე, შეესაბამება სპეციალისტთა პროგნოზებს, აი, სამხრეთ ოსეთის გუნდმა ყველასათვის მოულოდნელი შედეგი აჩვენა — გაუსწრო აფხაზ სპორტსმენებს და მეხუთე ადგილზე გავიდა, აფხაზეთის გუნდი კი ბოლო — მეექვსე ადგილზეა.

აქვე უნდა ითქვას ცალკეულ სპორტსმენთა მაღალი სპორტული მაჩვენებლების შესახებ, რაც იმის იმედს იძლევა, რომ ქართველი აკრობატები არა მარტო შინაურ ტურნირებში ისახელებენ თავს...

„ლელოს“ კორ.

მთავარი მაინც ჩემპიონატია

ტურნირის ეძო

სპორტის ზოგიერთ სახეობაში, თუნდაც ფეხბურთში, საკავშირო ჩემპიონატს საკმაოდ შეეყარა საფუძველი, ზოგში კი იგი ჯერ კიდევ ძლიერ ტურნირად რჩება. ეს განსაკუთრებით ჰიდაობაზე ითქმის, რადგან საბჭოთა კავშირში მართლაც ბევრი ძლიერი მოჭიდავეა. ჩვენ ამის თქმით, უბრალოდ, ფაქტს ვაღიარებთ, თორემ ჰიდაობის განვითარებისათვის სხვა ტურნირებიც არ დაიწუნება.

როგორც „ლელოს“ მკითხველებმა იციან, უკვე დამთავრდა წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შორის. ისიც გაცნობეთ ვინ რამდენი მედალი მოიგო და რომელ ადგილზე გავიდა. მაგრამ გულშემატკივრებს „მშრალი“ ციფრები ხშირად იმდენს არაფერს ეუბნება, ამიტომ ახლა გვინდა ცოტა უფრო დაწვრილებით გიამბოთ ამ ტურნირის შესახებ.

ამაში კი დაგვეხმარება ცნობილი არბიტრი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ჯუმბერ დავლიანიძე, რისთვისაც მას მადლობას ვუხდით. ბატონი ჯუმბერი ყოველი ასეთი მნიშვნელოვანი ტურნირის შემდეგ უფალატოდ მოდის „ლელოს“ რედაქციაში და მსაჯის მართლაც ობიექტური თვალსაზრისით მიმოიხილავს შეჯიბრების პერიპეტიებს.

ულან-უდეში საქართველოს ნაკრების 19 წევრი ასპარეზობდა. უფრო მეტი მონაწილე (67 სპორტსმენი) მხოლოდ რსფსრ-ს კოლექტივს ჰყავდა, რომელმაც კვლავ მოიგო კიდეც საერთო გუნდური პირველობა. ჩვენები კი, როგორც უკვე იცით, მეორე ადგილზე გავიდნენ. ყველა მონაწილე წინასწარ ტურნირებში ნაჩვენები შედეგების მეშვეობით, ან თავიანთი მაღალი რეიტინგის წყალობით დაუშვეს ჩემპიონატში. სხვათა შორის, შესარჩევი შეჯიბრება (გამოცდა) ჩაუტარდათ თვით მსაჯებსაც კი.

„ლელოს“ მკითხველებმა ისიც იციან, რომ ბურიატიის დედაქალაქში ჩვენი გუნდიდან ოქროს მედლები მოიპოვეს თბილისელმა ავთანდილ გოგოლიშვილმა (82 კგ) და საჩხერელმა ზაზა თურმანიძემ (მძიმე წონა), ლერი ხაბელოვმა (100 კგ) ვერცხლის მედალი დაიმსახურა, დავით გობეჯიშვილმა (მძიმე წონა) — ბრინჯაოსი. უნდა აღინიშნოს, რომ ჩემპიონატი ახალი, ექსპერიმენტული წესით ჩატარდა: თუ ადრე თითოეულ ქვეჯგუფში გამარჯვებული პირდაპირ ფინალურ შერკინებაში გადიოდა, ახლა მას ამის უფლება მხოლოდ მაშინ ეძლეოდა, თუკი სძლევდა სხვა ქვეჯგუფში მეორე ადგილზე გასულ მოჭიდავეს, ე. ი. შეხვედრათა რიცხვი, როგორც უკვე მიხვდით, ერთით გაიზარდა.

მკითხველმა შეიტყო, რომ ავთანდილ გოგოლიშვილმა დაამარცხა მსოფლიოს და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მახაჩყალელი ელმადინ ჯაბრაილოვი. მაგრამ ეს სრული ინფორმაცია არ იყო, რადგან ჩვენმა ფალავანმა ორჯერ სძლია მას— ქვეჯგუფშიც და ფინალშიც. ეს შერკინებები ერთმანეთს არ ჰგავდა: თუკი პირველ ჰიდილში გოგოლიშვილი აშკარად მოერია ჯაბრაილოვს, შემდეგ ეს უკანასკნელი მთელი მონდომებით გაემზადა რევანშისათვის, ფინალში ძალ-ღონე არ დაზოგა, მაგრამ... გოგოლიშვილი მაინც ძლიერი აღმოჩნდა. დაგვთანხმებით, ადვილი საქმე არ არის ერთ შეჯიბრებაზე ორჯერ სძლიო მსოფლიო ჩემპიონს. გოგოლიშვილს წვრთნიან საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვლადიმერ მესტვირიშვილი და ვანო ნიკოლაძე.

მძიმე წონაში ძალზე საინტერესო ამბები მოხდა: მცირე უიღბლობა რომ არა, ფინალში ქართველ ფალავნებს უნდა ეჭიდავთ, მით უმეტეს, რომ ხუთი მათგანი იბრძოდა ოქროს მედლისათვის. დავით გობეჯიშვილი და ზაზა თურმანიძე ერთ ქვეჯგუფში მოხვდნენ და მათ შეუპოვარ შერკინებაში ქულა ვერც ერთმა ვერ აიღო, მაგრამ თურმანიძეს მეტი გაფრთხილება ჰქონდა მიღებული და მის მეტოქეს მიენიჭა გამარჯვება.

მეორე ქვეჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა კრასნოიარსკელი გენადი ჟილცოვი, მეორეზე — ალექსანდრე მედვედი. თურმანიძემ დამაჯერებლად, ოთხი ქულის სხვაობით მოუგო ჟილცოვს, მაგრამ დ. გობეჯიშვილს ბედმა უმტყუნა, თუმცა ეს მარცხი ბედის კი არა, უფრო მისი გაუფრთხილებლობის ბრალი ყოფილა; როცა ანგარიში იყო 1:1 და მსაჯები უკვე ემზადებოდნენ მედვედის მოსახსნელად



(პასიურობისათვის), სწორედ მაშინ სცადა ფეხში შესვლა ჩვენმა ფალავანმა. მეტოქემ კონტრილეთი იხმარა, ქულა აიღო და გამარჯვებაც მას დარჩა („ახლა მძიმე წონაში ბევრი მეტოქე გამოჩნდა და დათომ უფრო მეტი უნდა ივარჯიშოს“, — მოგვიანებით, ცოტა გულჯავრიანად თქვა ამ შეხვედრის შესახებ გობეჯიშვილის მწვრთნელმა გურამ საღარაძემ).

ზაზა თურმანიძემ კი მედვედიც ჩამოიცილა გზიდან და საჩხერელი ფალავანი (მწვრთნელები ჯონი ლორია და მარლენ ოსიყმაშვილი) საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. დავით გობეჯიშვილს კი ნუგეშად ბრინჯაოს მედალი დარჩა, რომელიც მან ჟილცოვის დამარცხების წყალობით მიიღო.

100 კილოგრამ წონით კატეგორიაში, როგორც უკვე იცით, ჩემპიონი გახდა უკრაინელი ანდრეი გოლოვკო. არადა, ლერი ხაბელოვმა მას ქვეჯგუფში პირწმინდად მოუგო შეხვედრა, ხუთი ქულა აართვა და შემდეგ, თავისი აქტიურობით, „აიძულა“ მსაჯებს გოლოვკო მოეხსნათ, ამ წონაში გამოდიოდა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ახმედ ატავოვი, მაგრამ იგი ვლადიკავკაზელ საბეევთან დამარცხდა. თვითონ საბეევს კი გოლოვკომ აჯობა და მან ლერი ხაბელოვთან ფინალში შეხვედრის უფლება მოიპოვა.

ხაბელოვი, ალბათ პირველი შეხვედრის შთაბეჭდილების გამო, ცოტა არხეინად გავიდა ხალიჩაზე და მაშინვე დაისაჯა კიდეც— სამი ქულა დაკარგა. შემდეგ იგი უკვე იძულებული გახდა მუდამ რისკით ეჭიდავა, მაგრამ ასეთ ტაქტიკას ყოველთვის არ მოაქვს შედეგი. თბილისელი ფალავანი დამარცხდა და მეორე ადგილზე აღმოჩნდა.

ორი ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი ურიგო შედეგი არ არის, მაგრამ ისიც დასაფიქრებელია, რომ ჩვენს ფალავნებს 82 კგ წონით კატეგორიამდე არც ერთი მედალი არ მიუღიათ, ორ წონაში (48 და 52 კგ) კი მონაწილეები არ გვყავდა. ქვეყნის ბარშანდელმა ჩემპიონმა თელაველმა შამილ მაგომედოვმა (62 კგ) ამჯერად მხოლოდ მე-7 ადგილზე გასვლა შეძლო.

თუმცა დაბალ წონებშიც გვყავს ახალგაზრდა, პერსპექტიული მოჭიდავეები. ეს პირველ რიგში ითქმის გიორგი ივანიშვილზე, გოჩა მაკოევზე, გივი სისაურზე. ივანიშვილი (74 კგ) მსოფლიოს ორ უძლიერეს მოჭიდავეს ფაძაევსა და ვარაევს შეხვდა და თუმცა ორივეჯერ დამარცხდა, მან მაინც სახელოვან ვეტერანებს ბევრი ოფლი აღვრევინა.

სოხუმელი ეგია მუსოიანი (57 კგ) V ადგილზე გავიდა. საუკეთესოთა ოთხეულში შეეძლო მოხვედრა მამუკა რაზმაძეს (90 კგ), მაგრამ იგი მომავალ ჩემპიონ თედეევთან შეხვედრაში მაშინ დამარცხდა, როცა გონგის ხმას წამებიღა აშორებდა. რაზმაძე VII ადგილზე დარჩა, ისევე როგორც ზაზა ტყეშელაშვილი (მძიმე წონა). ამავე წონით კატეგორიაში თავის შესაძლებლობაზე სუსტად იასპარეზა იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა თბილელმა მერაბ ვალიევმა.

ამ შეჯიბრებაზე იშვიათი და მეტად ტრაგიკული ამბავი მოხდა. სომეხმა მოჭიდავემ ეგშატიანმა და მისმა მეტოქემ კიეველმა კუშნირმა შეხვედრაზე ააგვიანეს. მსაჯებმაც ცდისათვის განკუთვნილი ორი წუთი მოითმინეს და დაგვიანებულები შეჯიბრებიდან მოხსნეს. როცა ეგშატიანი ხალიჩაზე გამოცხადდა და მომხდარი ამბავი გაიგო, კატეგორიულად უარი განაცხადა სარბიელის დატოვებაზე. მაშინ მილიციას გამოუძახეს. მაგრამ სომეხი მოჭიდავე მაგიდაზე მდგარ გრაფინს ეცა, გატეხა და ნამსხვრევით მაჯა გადაისერა. დარბაზში საშინელი კივილი ატყდა. კიდევ კარგი, ექიმებმა იმარჯვეს და ოპერატიული მოქმედებით სპორტსმენი გადაარჩინეს. საოცარი ისიც იყო, რომ მსაჯებმა კუშნირს შეჯიბრება გააგრძელებინეს და მან ბრინჯაოს მედალი აიღო...

ჯუმბერ დავლიანიძემ ილაპარაკა ჰიდაობაში მომხდარი ნიახლეების შესახებაც:. ჰიდაობის საკავშირო ფედერაცია სპორტსახკომს გამოეყო და დამოუკიდებელ ერთეულად იქცა. ფინანსურად იგი ამით დაზარალდა, ამიტომ, წელში გასამართავად, ცოტა, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურ ზომებს მიმართა: ამიერიდან, რომელი ქალაქიც მოისურვებს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მასპინძლობას, მან ფედერაციას 50 ათასი მანეთი უნდა გადაუხადოს, თუკი საერთაშორისო ტურნირს მოისურვებს — 2 ათასი მანეთი. შეჯიბრებაზე დაშვებული ხარვეზებისათვის ცალკე დიდი ჯარიმებია დაწესებული და ა. შ. სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელი ივან იარიგინი ულან-უდეში დაასახელეს ჰიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) ვიცეპრეზიდენტის პოსტის კანდიდატად.

ამჟამად საბჭოთა კავშირის ნაკრები კეთილი ნების თამაშებისთვის ემზადება. კანდიდატთა შორის არიან ავთანდილ გოგოლიშვილი, ზაზა თურმანიძე, ლერი ხაბელოვი და დავით გობეჯიშვილი. მაგრამ ჯუმბერ დავლიანიძის თქმისა არ იყოს, ყველაზე მთავარი წლეულს მსოფლიო ჩემპიონატია, რომელიც სექტემბერში ჩატარდება. ოღონდ იქ საასპარეზოდ გუნდის დასაკომპლექტებლად კეთილი ნების თამაშების შედეგებს გაითვალისწინებენ.

ჩაიწერა
გიორგი პავლიაშვილმა.

„ლელოს“ პუბლიკაციის კვალდაკვალ

ისევ ჰოლანდიასა და ცხენების შესახებ

„ლელოს“ 30 მაისის ნომერში დაიბეჭდა წერილი „აღარც ცხენები...“, რომელიც ჰოლანდიაში საქართველოს ცხენოსნებისა და ხელოვნების მუშაკების მოგზაურობას და ქვეყნის დედოფლის ზეიმში მონაწილეობის შემდეგ საქართველოდან ჩაყვანილი ცხენების გაყიდვას ეხებოდა. გაიყიდა ხენაკელთა მერნებიც. ამ რაიონის ხელმძღვანელობამ და საცხენოსნო კლუბმა ზემდგომ ინსტანციებს და „ლელოს“ რედაქციას აცნობეს, რომ ჩადენილია უკანონობა და ითხოვდნენ დახმარებას. 30 მაისის პუბლიკაციაც ამის გამოძახილი იყო.

გავიდა დრო, ჰოლანდიიდან დაბრუნდნენ „იბერია-89“-ის ხელმძღვანელები. „იბერია-89“ საფრანგეთის ფირმა „არის-ნინოსთან“ ერთად ჰოლანდიაში საქართველოს დელეგაციის დამფინანსებელი იყო. ამ დღეებში რედაქციაში გვეწვია ფირმა „იბერია-89“-ის თავმჯდომარე თენგიზ გოგია და „ლელოს“ ზემოხსენებულ პუბლიკაციასთან დაკავშირებით მოგვიტანა პასუხი, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ.

ჰოლანდიაში გამგზავრებამდე პრესის საშუალებით მივმართეთ საზოგადოებრიობას და ცალკეულ ორგანიზაციებს ამოგვდგომოდნენ მხარში, მაგრამ ამაოდ. ფაქტობრივად გაუკვალავი გზით მოგვიწია სიარული.

უმოკლეს ვადაში 50 გაუწვრთნელი ცხენი ჩამოვიყვანეთ სტავროპოლისა და კრასნოდარის მხრიდან, მოსკოვიდან. თბილისის იპოდრომზე ვიქირავეთ თავლები, დღედაღამ ვუვლიდით ცხენებს, მათთვის გაჭირვებით ვშოულობდით საკვებს. ცხენების გაწვრთნა, ტრენინგი, ტესტირება, დამზმარე ინვენტარი, ვეტერინარული მომსახურება, საზეიმო გამოსვლის დადგმა, რეპეტიციები... ეს კოლოსალური სამუშაო ჩატარდა სულ რაღაც სამ თვეში. თითქმის შეუძლებელი შეძლო ჩვენმა კოლექტივმა.

ცხენებმა მგზავრობა ვერ აიტანეს, კლიმატმაც იმოქმედა, საჭირო გახდა სპეციალისტის დაქირავება და ძლიერი პრეპარატების შეძენა მერნების გადასარჩენად. ცხენთა ავადმყოფობის მიზეზით არც ერთი რეპეტიცია არ შედგა. ჩვენმა ცხენოსნებმა და კასკადიორებმა გამოიჩინეს საოცარი გამბედაობა და ვაჟკაცობა — ჩავარდნის პირას მისული პირველი დღის გამოსვლა გადაარჩინეს და ჰოლანდიელთა გულწრფელი აღტაცება დაიმსახურეს. მადლობის მეტი რა მეთქმის მათ მიმართ.

ახლა რაც შეეხება ცხენების გაყიდვასა და მასთან დაკავშირებულ აჟიოტაჟს. დასამალი არაა, საქართველოში ცხენი გადაშენების გზაზეა. შევიძინეთ რა 50 ცხენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ჩვენთვის მათი გაყიდვა ძალზედ გულდასაწყვეტი იყო, „იბერია-89“-ის მიზანი ხომ საქართველოში ცხენსაშენის გახსნა და ეროვნული ცხენოსნობის პოპულარიზაციაა, მაგრამ კომერციის მკაცრი კანონები თავისას ითხოვს. აუქციონი მოაწყო მსოფლიოს საცხენოსნო სამყაროსათვის ცნობილმა რობი დენ ჰარტოგმა, რომელიც ჩვენს მიმართ ძალზედ მეგობრულად განეწყო. მისმა ავტორიტეტმა დიდი როლი შეასრულა ჩვენს კომერციულ საქმიანობაში. დაგეგმილი იყო ჩვენი ცხენების გაყიდვა. (ლაპარაკია „იბერია-89“-ის 50 ცხენზე) და დანარჩენის უკან დაბრუნება. კვლავ დავიქირავეთ მანქანები, მაგრამ, რადგანაც სენაკელთა ცხენები ავად იყო, ხოლო ვეტერინარული სამსახური უმკაცრესი და შეუვალია (დასავლეთ გერმანიის საზღვარზე ჩვენს ავადმყოფ ცხენებს არავინ გაატარებდა), სენაკის წარმომადგენლებთან შეთანხმებით გაიყიდა ეს ცხენები. გაიყიდა იმ პირობით, რომ ჩვენი ფირმა — „იბერია-89“ ვალდებულია მათთვის შეიძინოს სამაგიერო ცხენები, ანდა გადაუხადოს ღირებულება. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, სენაკელ ცხენოსნებს ყოველნაირად აიძულებენ „აღიარონ“, რომ ცხენები არ იყვნენ ავად და გაუყიდეს ძალდატანებით. ერთ-ერთი ცხენოსანი თურმე დაკავებულიც კი ჰყავდათ სენაკის მილიციაში რამდენიმე დღით.

სულ აუქციონზე 28 ცხენი გაიყიდა. დანარჩენებს, რომელთაც სასაქონლო სახე შებღალული ჰქონდათ, ჩვენი რამდენიმე მხედარი ჰოლანდიაში 8 ივლისამდე უვლიდა და შემდეგ ის ცხენებიც გაიყიდა, მაგრამ (არა აუქციონზე, არამედ პირადი მოლაპარაკებით.

როგორც ხედავთ, აღნიშნული ღონისძიება წამოიწყო და თავი მოაბა ჩვენმა ფირმამ. ეს იყო პირველი გასვლა უცხოეთში. ნუ დავიიწყებთ, რომ აგერ უკვე 80 წელია, ქართველი მხედარი არ შეხმიანებია ევროპას. ტრიუმფით დამთავრდა ჩვენი სტუმრობა ჰოლანდიაში, მაგრამ ერთი წუთითაც არ ვიხსნით თავიდან იმ ნაკლოვანებებს, რაც ნამდვილად გაგვაჩნდა. ვფიქრობთ, გამოუცდელობით დაშვებული შეცდომები მისტეევებელია. შეიძლება ვინმემ იკითხოს, თუ მოგება არ ნახა თქვენმა ფირმამ, რაღას წვალობდითო. ჩვენ სამომავლოდ ველით ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ქართველთა მხედრიონის პრეზენტაციამ წარმატებით ჩაიარა, ავტორიტეტი, პრესტიჟი მოვიპოვეთ, ეს არც თუ ისე იოლი საქმეა ევროპელ კომერსანტებთან ურთიერთობაში. დიდო სამომავლო კავშირების ხელშეკრულებები. ყოველ წელიწადს ვართ მიწვეული ჰოლანდიის დედოფლის ზეიმზე, იქაური ბანკიც თანახმაა გაიღოს კრედიტი, ასე რომ, ყამირი გატყდა, გზა გაკვალულია. ქართულ მხედრიონს კვლავ ელიან ევროპაში.

თენგიზ გოგია.
ფირმა „იბერია-89“-ის თავმჯდომარე.

რედაქციისაგან: ნებისმიერი საქმე, გარეგნულად იგი რაგინდ კეთილშობილურიც უნდა მოჩანდეს, რა თქმა უნდა, დასაგმობია თუ მიზნის მისაღწევად ზნეობრივად გაუმართლებელი მეთოდები და საშუალებებია გამოყენებული. ჰოლანდიაში ჩვენი მხედრების გამგზავრებით უდავოდ კარგი საქმე გაკეთდა. კვლავ ეღირსა ქართველ ცხენოსნებს თავიანთი ოსტატობა ეჩვენებინათ უცხოეთში. გაკეთდა ის, რაც ამდენი ათეული წლის განმავლობაში ვერც ერთმა სახელმწიფო ორგანიზაციამ ვერ გააკეთა. ახლა რა ვქნათ, შევწყვიტოთ უცხოეთთან ურთიერთობა თუ გავაფართოვოთ უკვე გაკვალული ბილიკი?

დავსვით ეს შეკითხვები, მაგრამ არავინ იფიქროს, თითქოს ამით უზნეობისა და საზარახისი საქმის დაკანონებას ვითხოვდეთ, სრულებითაც არა. ეროვნული საქმე, როგორც იტ ყვიან, ყველამ ხუფთა ხელებით უნდა ვაკეთოთ. აუცილებლად უნდა გაირკვეს რაში მიუძღვის ბრალი „იბერია-89“-ს. თუ გამოძიებით დამტკიცდება, რომ [illegible] შეული განზრახ, ანგარების მიზნითაა ჩადენილი, მაშინ, ცხადია, ხაკადრისად უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც იგი ჩაიდინა. მხოლოდ ამის შემოიგ გვექნ[illegible]ბა მორალური და იურიდიული უფლება „ლელოს“ ფუოცლებზე მკაცრი შეფასება მივცეთ ფირმასაც და ცალკეულ პიროვნებებსაც. მანამდე, მანამდე, ვალდებული ვართ პატივი ვცეთ ადამიანების ღირსებებს, მათ უფლებებს და... კანონს.

კვლავ აარიდეს თავი

სოხუმის (ქალაქისა და რაიონის), ტყვარჩელის, გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის გუნდები მონაწილეობდნენ აფხაზეთის პროფსაბჭოს სპორტული ორგანიზაციის ტრადიციულ შეჯიბრებაში ჰადრაკსა და შაშში. ამ ასპარეზობას სოხუმის საწარმოო გაერთიანება „ორგტექნიკა“ მასპინძლობდა. სამწუხაროდ, ისევე როგორც გასულ წელს, შეჯიბრებას თავი აარიდეს გაგრისა და გუდაუთის გუნდებმა.

ასპარეზობა საინტერესოდ და უკომპრომისოდ ჩატარდა, თანაც სიურპრიზების „თანხლებით“. ასე, გასული წლის ჩემპიონმა, ოჩამჩირელმა ს. მანასიანმა პირველივე ტურში წააგო... 9 წლის მოჭადრაკე დ. ზუხბასთან და საბოლოოდ მეორე ადგილი დაიკავა. პირველობა გულრიფშელმა დ. სატაკინმა მოიპოვა.

მოშაშეთა ტურნირში ტოლი არ ჰყავდა სოხუმის ხელსაწყოთა ქარხნის ბრიგადირს, ოსტატობის კანდიდატს ვ. წოწორნავას. მთელი გათამაშების მანძილზე მან სულ ნახევარი ქულა დაკარგა.

განვლილმა შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ, როგორც მოჭადრაკეებს, ისე მოშაშეებს, აკლიათ სატურნირო პრაქტიკა და საერთოდ მეტ ყურადღებას იმსახურებს ამ სახეობებში ადგილებზე სასწავლო-სპორტული მუშაობა. ამ მიმართულებით უდავოდ კარგ შედეგებს გამოიღებს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის სოხუმშიც, პროფკავშირთა საჭადრაკო საშაშო კლუბების შექმნა, სასწავლო ჯგუფების ჩამოყალიბება.

გიორგი არუთინოვი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

საქართველოს ერროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:1 (0:0)

თბილისი. „შევარდენის“ სტადიონი. 30 ივნისი.

„შევარდენი-1906“: დოლიძე, ელიავშვილი, სამხარაძე, კობალეიშვილი, ძნელაძე, ტარტარაშვილი, შალამბერიძე, ყულიაშვილი, ყიფიანი, ქობელაშვილი, მინაშვილი (ჟვანია).

„კოლხეთი“: ბაბუაძე, ჭეჯელავა, კაციტაძე, ხურცილავა (ბეხტაევი), ლატარია, მამფორია, სიჭინავა (დოლბაია), რუხაძე, გვახალია, ე. თევზაძე, ჰეჭინაძე (ბაკურაძე).

მხაჯები: ე. სილაგავა, ჯ. წერეთელი, შ. ხანიაშვილი (სამივე — თბილისი).

თბილისს „შევარდენი-1906-მა“ როგორც ჩანს, „იპოვა“ თავისი სათამაშო სტილი, ზედიზედ რამდენიმე საპასუხისმგებლო მატჩი მოიგო და პირველი წრის ბოლოსათვის სატურნირო ცხრილში მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესა.

თბილისელებმა თამაში ყოველგვარი დაზვერვის გარეშე, მწვავე იერიშებით დაიწყეს. ამ დღესაც გუნდის სული და გული მათი კაპიტანი ქობელაშვილი იყო.

პირველი სახიფათო მომენტი ხობელებმა 35-ე წუთზე შექმნეს, როცა ე. თევზაძემ თავური დარტყმით გაგზავნა ბურთი მასპინძელთა კარისაკენ, მაგრამ არაზუსტად. ამას ხობელთა რამდენიმე შეტევა მოჰყვა და 44-ე წუთზე გვასალიას გადაცემის შემდეგ ე. თევზაძემ აიღო თბილისელთა კარი. მსაჯმა ეს ბურთი სამართლიანად არ ჩათვალა, რადგან ხობელთა თავდამსხმელმა საჯარიმოში ხელით ითამაშა.

ანგარიში მეორე ტაიმის დაწყებიდან სულ რაღაც ოთხ წუთში გაიხსნა. ქობელაშვილმა მიიღო მინაშვილის მაღალი ჩაწოდება და ბურთი თავით გაგზავნა სტუმართა კარში — 1:0.

ამ გოლს ხობელთა სახიფათო კონტრიერში მოჰყვა, მაგრამ საკუთარ საჯარიმოში კარგად ითამაშეს სამხარაძემ და კოპალეიშვილმა, რომლებმაც ზედიზედ რამდენჯერმე მოიგერიეს ბურთი ზედ კარის ხაზთან.

თბილისელთათვის ფეხბედნიერი გამოდგა ჟვანიას მინდორზე გამოჩენა. მე-80 წუთზე ქობელაშვილი-შალამბერიძე-ჟვანიას მიერ კარგად გათამაშებული კომბინაცია ამ უკანასკნელის ზუსტი დარტყმით დაგვირგვინდა—2:0.

პრესტიჟის ბურთის გატანა ხობელებმა 82-ე წუთზე შეძლეს, როდესაც ე. თევზაძემ ყველას დაასწრო და ბურთი დაუყოვნებლივ მასპინძელთა კარისკენ გაგზავნა — 1:2.

მაყურებელს ანგარიშის შეცვლის იმედი უკვე აღარ ჰქონდა, როცა 90-ე წუთზე ყიფიანმა ისარგებლა მეკარის არახელსაყრელი პოზიციით, მოატყუა იგი, გვერდი აუარა სტუმართა მცველს და მარცხენა დაბალ კუთხეში მეტად ეფექტური ბურთი გაიტანა. ეს გოლი ამ საინტერესო შეხვედრის ლამაზ დასასრულად იქცა.

ინგა ჩახვაშვილი.

„ივერია“ (ხაშური) — „იბერია“ (თბილისი) 0:3 (0:1).

გორი. ცენტრალური სტადიონი. 30 ივნისი.

„ივერია“: მურადაშვილი, ჯანგურიძე, ცხოვრებაშვილი, ამბიძე, ლაცაბიძე, ხარაზიშვილი (რ. ნოზაძე), აბაზაძე, პოზოიანი, პ. ნოზაძე (მალრაძე), მღვდელაძე, ტიტვინიძე (ჭიმერიძე).

„იბერია“: ხაპოვი, მაჭავარიანი, ცხადაძე, ჭედია, ჯიშკარიანი, რევიშვილი, ქეცბაია, ჩიქოვანი, კაჭარავა (ჯამარაული), ყაველაშვილი, (ყიზილაშვილი), გოგიჩაიშვილი (ყიფიანი).

მხაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი), პ. დოგრაშვილი, გ. მიქაუტაძე (ორივე — ქუთაისი).

ამ დღეს თბილისის „იბერიის“ სანახავად გორის სტადიონზე ბევრი მაყურებელი მოვიდა, რითაც თავისებურად გამოხატეს რესპუბლიკის პირველი გუნდის სიყვარული. მაგრამ, აქვე ვიტყვით, რომ სტადიონზე მოსული გულშემატკივრები ფავორიტი გუნდისგან უფრო მეტს მოელოდნენ.

ხაშურელები თამაშის დასაწყისში შედრკნენ ძლიერი მეტოქის წინაშე და თამაშის სადავეები მთლიანად „იბერიის“ ფეხბურთელებს ჩაბარეს. ვინ იცის, მეკარე მურადაშვილს გააზრებული თამაში რომ არა, პირველ 15 წუთში რა შედეგს მიაღწევდნენ თბილისელები. „იბერიის“ თამაში ამ დღეს კარგა ხანს საწვრთნელ ვარჯიშს წააგავდა, მეოცე წუთზე პირველი ბურთი „ივერიის“ კარში ზ. რევიშვილმა გაიტანა — 1:0. „იბერიამ“ პირველ ტაიმში მეტი ბურთის გატანა ვერ შეძლო. აღსანიშნავია, რომ ორჯერ ხაშურელთა კარი ძელმა იხსნა.

მეორე ნახევრის დასაწყისი „იბერიამ“ საინტერესოდ წარმართა. გახშირდა შტურმი „ივერიელთა“ კართან. მაგრამ კვლავ მოწოდების სიმაღლეზე იყო მეკარე მურადაშვილი. კ. გოგიჩაიშვილს, თ. ქეცბაიას და ს. ჭედიას რამდენჯერმე ჰქონდათ მასპინძელთა კარის აღების კარგი შესაძლებლობა. 73-ე წუთზე ისევ რევიშვილმა იმარჯვა, სწრაფი დრიბლინგით გვერდი აუარა რამდენიმე მცველს, დარჩა მეკარესთან პირისპირ და ანგარიში 2-მდე გაზარდა. დარჩენილ წუთებში ხაპოვს რამდენჯერმე მოუხდა თავისი ოსტატობის ჩვენება, მაგრამ მისი კარი ამ თამაშში ხელშეუხებელი დარჩა. შეხვედრა კარგად, დაასრულა შეცვლაზე გამოსულმა ყიზილაშვილმა, რომელმაც 85-ე წუთზე მესამე ბურთი გაიტანა „ივერიის“ კარში.

ილია თევდორაშვილი.
„ლელოს“ კორ.

„დილა“ (გორი) — „სანავარდო“ (სამტრედია) 3:0 (2:0)

გორი. ცენტრალური სტადიონი, 29 ივნისი.

„დილა“: ჩოჩიევი, ანიაშვილი, გაგნიძე, ქობესოვი, წიკლაური, (ჩადუნელი), მელქაძე, მარეხაშვილი, გაზაშვილი (ტაბატაძე), მლებრიშვილი, ნეფარიძე, ზვ. ხორგუაშვილი (კოშკაძე).

„სანავარდო“: თოდაძე, კოხრეიძე, ვაშაკიძე, თამაზაშვილი, თვალაბეიშვილი, რუხაძე, ბაბუნიძე, შეპტიცკი, დადუნაშვილი (ლორთქიფანიძე), გოგაძე (ხუჭუა), ამბიძე.

მხაჯები: ვ. ეჯიბია, ე. სილაგავა, თ. მაღლაფერიძე (სამივე — თბილისი).

თამაში სტუმრების იერიშებით დაიწყო, რამაც ერთგვარი დაბნეულობა შეიტანა „დილას“ რიგებში, მასპინძლებმა მალე „იპოვეს თავისი თამაში“ და რამდენიმე სწრაფი შეტევა განახორციელეს. გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა ვერ გამოიყენა ნეფარიძემ, რომლის ძლიერი დარტყმა ოდნავ ასცდა თოდაძის კარს. ერთ-ერთ ეპიზოდში „სანავარდოს“ მცველებმა უხეშად ითამაშეს მარკოშვილის წინააღმდეგ ეჯიბიამ უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი, რომელიც უნაკლოდ შასრულა ქობესოვმა —1:0. ტაიმის ბოლო წუთზე ისევ მარღიშვილმა გამოიჩინა თავი, რომელმაც მოულოდნელი ძლიერი დარტყმით ორამდე გაზარდა ანგარიში.

მეორე ნახევარში კვლავ მასპინძელთა კარნახით წარიმართა თამაში და მე-60 წუთზე ნეფარიძემ მესამე გოლი გაიტანა — 3:0. ეს ანგარიში აშკარად ასახავს ამ მატჩში მონაწილე გუნდების ძალთა თანაფარდობას.

თეიდო ირემაძე.

„ოდიში“ (ზუგდიდი) — „ცხუმი“ (სოხუმი) 2:1 (2:1).

ზუგდიდი. ცენტრალური სტადიონი. 30 ივნისი.

„ოდიში“: ჭანტურია, კვიტატიანი, მაჭაცარია, თუთბერიძე (სართანია), ჯავაშვილი, ვაიმეიკისი, მალანია, შეროზია (ტბუა), ბიგვავა, ზანჩუხი, აფაქიძე (ჯიქია).

„ცხუმი“: ეორეოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, სიჭინავა, მალანია, გელენავა (პაპასკირი), ჯიშკარიანი, პაპავა, გოგრიჭიანი, გაბიხკირია, კურგენიანი.

მხაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი), ლ. ჩიტაია, ხ. შალამბერიძე (ორივე — თბილისი).

გაფრთხილება: მალანია, გოგრიჭიანი.

შეხვედრა მასპინძელთა იერიშებით დაიწყო. პირველივე წუთებიდან აქტიურობდნენ „ოდიშის“ გუნდში ახლად გადმოსული ლიტველი ფეხბურთელები — ვაიმეიკისი და ზანჩუხი, მაგრამ, ზუგდიდელთა შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია. მე-10 წუთზე კი ჩინებულად ითამაშა „ცხუმის“ თავდამსხმელმა ჯიშკარიანმა, რომელმაც 25 მეტრის მანძილიდან ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში—1:0. გაშვებული ბურთის შემდეგ „ოდიშის“ ფეხბურთელები ცდას არ აკლებდნენ ანგარიშის გასათანაბრებლად. მე-18 წუთზე მოედნის ცენტრიდან რეიდი წამოიწყო აფაქიძემ, რომელიც გასცდა რამდენიმე მცველს, მოატყუა მეკარე და ანგარიშიც გაათანაბრა — 1:1. გამარჯვების გოლი ამ მატჩში „ოდიშელმა“ ბიგვავამ გაიტანა, რომელმაც კარგად შეურჩიო ადგილი ჩამოწოდებულ ბურთს — 2:1. ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა რამდენიმე წუთში კვლავ ბიგვავას მიეცა, მაგრამ მისი დარტყმა ამჯერად არაზუსტი იყო. სტუმრებს შეეძლოთ მატჩის ხსნა, მაგრამ პაპავას და გოგრიჭიანის დარტყმები მიზანს არ აღწევდა.

მეორე ნახევარში საგოლე მომენტები თანაბრად იქმნებოდა მეკარეების — ჭანტურიას და ეორეოლიანის საჯარიმოში. მაგრამ 90 წუთი ისე ამოიწურა. ანგარიში აღარ შეცვლილა, 2:1 გამარჯვებ „ოდიშმა“ და საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა.

ნუგზარ ზანანია.
„ლელოს“ სპეც. კორ.

„ლიახვი“ (ცხინვალი) — „მერცხალი“ (ოზურგეთი) 0:4 (0:1)

თბილისი. 26 მაისის სახელობის სტადიონი. 30 ივნისი.

„ლიახვი“: ა. სანაკოევი, ვ. გობოზოვი, კახნიაშვილი, ი. ვობოზოვი, მიხაილოვი, გასოევი, ძაგოევი (დოგუზოვი), მარგიევი, მ. სანაკოევი (ზვიადაგინცევი), ქოქოევი, ა. ჯიოევი.

„მერცხალი“: ზოიძე, ხაჩაშურიძე, ათუაშვილი, მეკავანძე, კალატოზიშვილი, (ბერიშვილი), ბარამიძე (ჩხაიძე), ამაშუკელი, კაშია, თეთრაძე, გელაძე (კალანდაძე), ჩიგოგიძე.

მხაჯები: ა. შილაკაძე, რ. ტალიაშვილი, დ. თოდუა (სამივე — თბილისი).

ცხინვალელი ფეხბურთელები ისე მივიდნენ პირველი წრის ფინიშამდე, რომ ქულაც ვერ მოიპოვეს. ყველას ეგონა, რომ ისინი ამჯერად მაინც შეეცდებოდნენ ნავსის გატეხას, მაგრამ ამაოდ, შეხვედრის დასაწყისიდანვე მინდვრის შუაგული მეტოქეებს დაუთმეს და თვითონ მხოლოდ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ. სამაგიეროდ ოზურგეთელები შეტევას შეტევაზე ახორციელებდნენ და ამაშუკელმა, გელაძემ და ბარამიძემ არაერთხელ აიძულეს „ლიახვის“ მეკარე და მცველები, თავიანთი ოსტატობისთვის მოეზომთ. ტაიმის მიწურულს თეთრაძის უნაკლოდ შესრულებული საჯარიმო დარტყმა ძლივს მოიგერია სანაკოევმა. მიუხედავად სათამაშო უპირატესობისა, პირველი ნახევრის უკანასკნელ წუთამდე „მერცხალმა“ ვერ მოახერხა უპირატესობის რეალიზება: 45-ე წუთზე ათუაშვილის შესანიშნავი გადაცემის შემდეგ კაშიამ ულამაზესი გოლი გაიტანა „ლიახვის“ კარში — 1:0.

არც მეორე ტაიმში გამოუჩენიათ თავი ცხინვალელებს. ცხადი გახდა, რომ ოზურგეთელები არ დაკმაყოფილდებოდნენ მინიმალური უპირატესობით გამარჯვებას: და 62, 70 და 87-ე წუთებზე შესაბამისად ჩიგოგიძემ, ათუაშვილმა და მინდორზე ახლად შემოსულმა კალანდაძემ ოთხამდე გაზარდეს ანგარიში.

მხოლოდ ამის შემდეგ გამოცოცხლდნენ „ლიახვის“ ფეხბურთელები და ა. ჯიოევმა და ზვიადაგინცევმა ლამაზი შეტევები განახორციელეს, მაგრამ უშეცდომოდ თამაშობდა ი. ზოიძე. საბოლოოდ, „ლიახვმა“ ვერაფერი შემატა თავის ქულათა ნულოვან გრაფას, ოზურგეთელთა ახალგაზრდულმა კოლექტივმა კი ესოდენ საპირო 3 ქულა მოიპოვა.

ლ. ჯავახიშვილი.

* * *

ქუთაისიდან და ფოთიდან კორესპონდენტებს გუშინ მასალა არ გადმოუციათ.

„შევარდენი-1906“ — „კოლხეთი“ (ხობი)
ა.კოკლამაზაშვილის ფოტო.

(გაგრძელება)

და მაინც უნდა ითქვას, რომ ნახევარფინალში გავიდნენ ის ნაღები გუნდები, რომლებიც სწორედ დღეს, სწორედ ახლანდელ სინამდვილეში არიან საუკეთესოდ მომზადებული, საუკეთესო ფორმაში მყოფნი, ესაა არა საერთოდ საერთაშორისო ფეხბურთის აბსტრაქციული, არამედ კონკრეტულად იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის ნაღები.

ჩემპიონატზე უშეღავათო ბრძოლაა გაჩაღებული. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გადაჭრით გადაწყვიტა ჯვაროსნული ომი გამოუცხადოს ანტიფეხბურთს, უხეშობას, თავაშვებულობას, ეს თავის ზურგზე გამოსცადა ჩემპიონატის ყველა მონაწილემ, გაფრთხილებებს და გაძევებებს თვლა არა აქვს, მაგრამ უხეშობა მაინც არ წყდება. ფეხბურთელს ურჩევნია ყვითელი ბარათი მიიღოს, ვიდრე მეტოქეს მისცეს საგოლე პოზიციაში გასვლის საშუალება, ამიტომაც იგი არ ერიდება არაფერს, არავის. შესაძლოა, დრო გავა და უხეშობასთან ბრძოლა საესურველ შედეგს გამოიღებს, მაგრამ იტალიის სტადიონებზე ჯერჯერობით ისეთი ამბები ხდება, რომ მეორედ მოსვლასა ჰგავს. ვინმემ რომ ეს დარღვევები ამოკრიბოს და ცალკე ფილმი გააკეთოს, ეს იქნება მრავალსერიანი განგსტერული ფილმი, თავისი საშინელებების კოშმარული სერიალით.

ტელევიზიით გვაჩვენეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ჰოლანდიის გუნდების 24 ივნისის მერვედფინალური მატჩის ის ეპიზოდი, როცა ჰოლანდიელმა ფრანკ რიიკარდმა სახეში მიაფურთხა გერმანელ რუდი ფიოლერს. საოცარი და ამაზრზენი სანახაო იყო ფეხბურთის გამოჩენილი დიდოსტატის ფრანკ რიიკარდის ყოვლად უტიფარი საქციელი. მან საქვეყნოდ ისეთი შეურაცხყოფა მიაყენა თავისივე რანგის გამოჩენილ ფეხბურთელს რუდი ფიოლერს, თითქოს ეს მსოფლიო ჩემპიონატზე, მილანის „მეაცას“ სტადიონზე კი არ ხდებოდა, არამედ სადღაც ორღობეში, სადაც ურცხვი ბიბუჭეები არ ერიდებიან არავის და არაფერს.

ახლა მეოთხედფინალების შესახებ:

30 ივნისი, ფლორენცია. არგენტინა — იუგოსლავია 3:2 (დამატებითი პენალტებით, მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო — 0:0). იუგოსლავიელებს „სარმა“ პირველმა თავიანთმა მოთამაშემ რ. შაბანაჯოვიჩმა გამოსდო, რომელმაც ყვითელი ბარათი დაიმსახურა მარადონას წინააღმდეგ უხეშობისთვის. შემდეგ კი, მეორე დარღვევისას, მინდვრიდან გააძევეს. 10 იუგოსლავიელს მეტისმეტად გაუჭირდა, მაგრამ თავიანთი საქმე მაინ მაინც გააკეთეს, გავიდა ძირითადი დრო, დამატებითი 30 წუთი და მეტოქეს არ მისცეს ბურთის გატანის საშუალება — 0:0. კვლავ შესანიშნავად ითამაშა გუნდის წამყვანმა მოთამაშემ დრაგან სტოიკოვიჩმა, მაგრამ სწორედ სტოიკოვიჩმა მოახვედრა 11-მეტრიანი დარტყმა ძელს და, თუმცა, დამატებითი პენალტების შესრულებისას სხვა რამდენიმე მოულოდნელობაც მოხდა (რად ღირს თუნდაც ის, რომ მარადონამ ვერ გაიტანა გოლი), ეს სერია არგენტინელებმა თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 3:2.

მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩი იტალია — ირლანდია. იტალიელი სალვატორე სკილაჩის მიერ გატანილმა ამ ბურთმა გამარჯვება მოუტანა მასპინძლებს.

30 ივნისი, რომი. იტალია — ირლანდია 1:0. არც იტალიელთა გზა იყო იოლი ირლანდიის გუნდთან შეხვედრაში. ეს იყო უმძიმესი ბრძოლა, რომლის ბედი გადაწყდა 38-ე წუთზე: ჯანინიმ ზუსტად გადააწოდა

ეს ამბავი

მსოფლიოს XIV ჩემპიონატი ფეხბურთში

(დასასრული)

დონადონის , მისი უძლიერესი დარტყმა მოიგერია მეკარე ბონერმა, ამ ეპიზოდში ყველას დაასწრო იტალიელთა ახალმა ვარსკვლავმა სალვატორე სკილაჩიმ და ბონერმა ამჯერად ვეღარ იხსნა კარი — 1:0.

1 ივლისი, მილანი. გფრ — ჩეხოსლოვაკია 1:0. სადავო არაა, რომ გერმანელ ფეხბურთელებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ მატჩის მსვლელობაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ჩეხოსლოვაკიელმა ფეხბურთელებმა ი. ჰაშეკმა და გ. კადლეცმა სამჯერ გამოიტანეს კარში მიმავალი ბურთი ზედ ხაზიდან, მაგრამ ცხადია, გერმანელები ამ მატჩში უფრო სოლიდურად გამოიყურებოდნენ და უაღრესად ძნელი, მაგრამ დამსახურებული გამარჯვებაც მათ ხვდათ წილად. ერთადერთი, გადამწყვეტი ბურთი ჩეხოსლოვაკიელთა კარში პირველ ტაიმში გავიდა: კლინსმანის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის არბიტრმა 11-მეტრიანი დანიშნა, დარტყმა ზუსტად შეასრულა მათეუსმა.

1 ივლისი, ნეაპოლი. კამერუნი—ინგლისი 2:3. კამერუნის გუნდი მსოფლიოს XIV საფეხბურთო ჩემპიონატის ნამდვილი საოცრებაა. გათამაშების პირველ და მეორე ეტაპებზე მიღწეულმა წარმატებებმა კამერუნელებს დიდი ავტორიტეტი მოუხვეჭა, ფეხბურთელები ეროვნულ გმირებად იქცნენ, მათზე ბევრს ლაპარაკობენ. ინგლისელებთან მარტოოდენ ენთუზიაზმით, მონდომებით და თავგანწირვით ვერას გახდები. აქ საჭიროა ნამდვილი საფეხბურთო ოსტატობა, ტაქტიკურად გამართული, ტექნიკური თამაში და კამერუნელებმაც სწორედ ასე ითამაშეს. იშვიათად გადაუტანია ინგლისის გამობრძმედილ ნაკრებს ასეთი განსაცდელი თავის ხანგრძლივ ისტორიაში.

მთელ თამაშში, ურთულეს სიტუაციებშიც კი კამერუნელებმა არაფერი დაუთმეს ძლიერ მეტოქეს, ქანცი გააცალეს ცნობილ ოსტატებს და მხოლოდ უაღრესად რთული პერიპეტიების შემდეგ დათმეს თამაში. კამერუნის გუნდში ყველა მოთამაშე ზანგია, ინგლისელთა ძირითად შემადგენლობაში 3 შავკანიანი გამოდიოდა, ასე რომ, ეს თავისებური „აფრიკული ფეხბურთი" იყო, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ინგლისელები საკმაოდ ადრე, 26-ე წუთზე დაწინაურდნენ დევიდ პლატის ზუსტი დარტყმის შემდეგ, შესვენების შემდეგ, 4 წუთის განმავლობაში კამერუნელებმა ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, შემდეგ კი წინ გაიჭრნენ კიდეც: 62-ე წუთზე ინგლისელთა მცველები თავიანთ საჯარიმო მოედანზე უხეშად ეთამაშნენ როჟე მილას და კუნდემ ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი, შემდეგ კი რ. მილამ კარგი შესაძლებლობა შეუქმნა ეჭენ ეკეკეს და მან თავს ზემოთ გადაუგდო ბურთი მეკარე პიტერ შილტონს — 2:1.

ინგლისელები იხსნა ჰარი ლინეკერის ენერგიამ და ოსტატობამ. თამაშის 83-ე წუთზე იგი წააქციეს კამერუნელთა საჯარიმო მოედანზე, პენალტი თვით ლინეკერმა დაარტყა — 2:2 და მერე, 105-ე წუთზე პოლ გასკოინის ზუსტი გადაცემის შემდეგ ლინეკერი კვლავ წააქციეს, კვლავ დაინიშნა 11-მეტრიანი, დარტყმა კვლავ ჰარი ლინეკერმა შეასრულა და მხოლოდ ყველაფერ ამის შემდეგ შეძლეს ინგლისელებმა გამარჯვების მოპოვება და ნახევარფინალში გასვლა.

ახლა დადგა ნახევარფინალების დრო, დღეს ნეაპოლში ერთმანეთს შეხვდებიან იტალიისა და არგენტინის გუნდები, ხოლო 4 ივლისს ტურინში — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ინგლისის ფეხბურთელები. ორივე ნახევარფინალი უდიდეს ინტერესს იწვევს.



სიახლენი ფეხბურთის წესებში

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია შემდგომი სეზონიდან ცვლილებებს შეიტანს თამაშის წესებში.

პირველი ცვლილება. გაუქმდება „თამაშგარე მდგომარეობის" ფიქსაცია იმ შემთხვევაში, როცა თავდამსხმელი ფეხბურთელი გადაცემის მომენტში ერთ ნაზზე იქნება მეტოქის ბოლო მცველთან ერთად. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ანდრეას ჰერენმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „ცვლილება ხდება იმის გამო, რომ სტიმული მიეცეს შემტევ ფეხბურთს, თავდამსხმელს შეექმნას გარკვეული უპირატესობა მცველთან შედარებით".

მეორე სიახლე. წვივსაფრების სავალდებულო გამოყენება. ამიერიდან წვივსაფრები სხვა საფეხბურთო ამუნიციასთან ერთად ზუსტად იქნება აღნიშნული კოდექსში, რათა ფეხბურთელს მინდორზე გამოსვლის უფლება მიეცეს.

მესამე ცვლილება. ეგრეთ წოდებული „პროფესიული ფოლები" მსაჯთა მხრივ აუცილებლად აღინიშნება მკაცრად, სასჯელი — წითელი ბარათი. ამგვარ ფოლებს მიეკუთვნება უკლებლივ ყველა შემთხვევა, როცა წესების დამრღვევი ამას აკეთებს მეტოქის შეტევის აღსაკვეთად, რომელიც შეიძლება გოლით დამთავრებულიყო. როგორც იცით, ამ სიახლეს ამჟამად იტალიაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზეც იყენებენ.

თამაშის ახალი წესები მოამზადა საერთაშორისო საბჭომ, რომელშიც 5 კაცი შედის: ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელი და დიდი ბრიტანეთის ოთხი ფედერაციის „კანონმდებლები", რომლებიც ფეხბურთის დამფუძნებლები არიან.

პლატინის განაჩენი გამოუტანეს

საოცარი ამბები ხდება: გამოჩენილ ფრანგ ფეხბურთელს, საფრანგეთის ეროვნული ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს მიშელ პლატინის, რომელიც ცნობილია კეთილი საქმეებით და ქველმოქმედებით, ლიონის სასამართლომ მკაცრი სასჯელი გამოუტანა: 4 თვის პირობითი საპყრობილე და 300 ათასი ფრანკი (53,5 ათასი დოლარი) ჯარიმა.

გამოირკვა, რომ წარსულის ეს სახელმოხვეჭილი ფეხბურთელი მონაწილეობდა საფრანგეთის საფეხბურთო კლუბ „სენტ-ეტიენის" ე. წ. „შავი სალაროს" საქმიანობაში. მ. პლატინი ამ კლუბში წლების განმავლობაში თამაშობდა, მასთან ერთად დასაჯეს იმ დროის სხვა ფეხბურთელებიც.

როგორც მ. პლატინის ვექილმა განაცხადა, მას საგანგებო სიმკაცრით მოეპყრნენ იმ მოტივით, რომ იგი ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელი იყო კლუბში. 4 წლით პატიმრობა (მათგან 30 თვით — პირობით) მიესაჯა „სენტ-ეტიენის" ყოფილ პრეზიდენტს 70 წლის როჟეს. გარდა ამისა, მას მოუწევს 45 ათასი დოლარი ჯარიმის გადახდა.

„სენტ-ეტიენის" ეს „შავი სალარო" მოქმედებდა 1978-1982 წლებში, უკანონო ხარჯებმა 3,5 მილიონ დოლარს მიაღწია. ფული დამატებით ურიგდებოდათ მოთამაშეებს და მწვრთნელებს.

„საკმაო საგზლით" — ერთიანი საკავშირო ტურნირზე

მოულოდნელობით აღინიშნა ტრადიციული რესპუბლიკური ტურნირი ხელბურთში „სწრაფი ბურთის" პრიზზე. შეჯიბრებაში, რომელშიც 13-14 წლის მოზარდები მონაწილეობდნენ, გამარჯვებას თბილისელ სპორტსმენებს უწინასწარმეტყველებდნენ, და მართლაც ფავორიტებმა წარმატებით იასპარეზეს და ტურნირის მთავარი პრიზები მოიგეს. მეორე ადგილზე თელაველი ჭაბუკები გავიდნენ, მესამეზე — მასპინძლები, ყვარელი სპორტსმენები. სხვათა შორის, ყვარლის გუნდმა უკან ჩამოიტოვა ისეთი გამოცდილი კოლექტივები, როგორებიც არიან სამტრედიის, ქუთაისისა და აჭარის გუნდები. ყვარლის გოგონათა ნაკრებმა კიდევ ერთი სიურპრიზი შესთავაზა ხელბურთის მოყვარულთ — თანაქალაქელ ჭაბუკთა მსგავსად „ბრინჯაო" მოიპოვა. თბილისელმა გოგოებმა კი გაამართლეს სპეციალისტთა პროგნოზები და უძლიერესის სახელი მოიხვეჭეს — ტურნირის ბოლო მატჩში დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს აჭარის გუნდი — 14:8.

გამარჯვებულმა გუნდებმა „სწრაფი ბურთის" საკავშირო გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს: ჭაბუკები ბრიანტაში იასპარეზებენ, გოგოები — როვნოში. უნდა ითქვას, რომ ორივე გუნდი იმედიანად გაემგზავრა საკავშირო შეჯიბრებაზე.

ლევან ფუნეთელი.

ერთპიროვნული ლიდერი

მანილა. მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის საზონთაშორისო ტურნირის მესამე წრეში იუგოსლავიელმა პრედრაგ ნიკოლიჩმა დაამარცხა მიხეილ გურევიჩი (სსრ კავშირი) და ხელთ იგდო ლიდერობა. სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია ბორის გელფანდისა და ვასილ ივანჩუკის (ორივე — სსრ კავშირი) გამარჯვება, შესაბამისად, ვისვანატან ანანდთან (ინდოეთი) და ალონსო ზაპატასთან (კოლუმბია). ფრედ დამთავრდა იან ელვესტის (სსრ კავშირი) და ლიუბომირ ლიუბოევიჩის (იუგოსლავია), აგრეთვე, იასერ სერავანის (აშშ) და სმბათ ლპუტიანის (სსრ კავშირი) შეხვედრები.

ლეონიდ იუდასინმა და რაფაელ ვაგანიანმა (ორივე — სსრ კავშირი) შავებით წააგეს ბრძოლა ჟოელ ლოტიესთან (საფრანგეთი) და მაიკლ ადამსთან (ინგლისი), თეთრებით მოთამაშე ალექსანდრე ხალიფმანი (სსრ კავშირი) კი კირილ გეორგიევს (ბულგარეთი) დანებდა.

სამი ტურის შემდეგ ერთპიროვნულ ლიდერს ნიკოლიჩს სამი ქულა აქვს. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება გელფანდი, ლოტიე, ადამსი და გეორგიევი. ფინიშამდე ჯერ კიდევ 10 ტურია დარჩენილი.

უჭირთ ფავორიტებს

ლონდონი. საბჭოთა ჩოგბურთელებმა ნატალია ზვერევამ და ლარისა სავჩენკომ უიმბლდონის ტურნირის მესამე წრეში თამაშის უფლება მოიპოვეს. ამერიკელი ენ ჰენრიკსონი და სამხრეთაფრიკელი ვან რენსბურგი მათ ორ პარტიაში დამარცხეს — 6:1, 7:5.

ზვერევა წარმატებით თამაშობს ერთეულთა ტურნირშიც. მესამე წრეში ამერიკელი გრეთჰენ მეიჯერსი დაამარცხა (2:6, 6:2, 6:4) და ახლა, მეოთხედფინალში არგენტინელ გაბრიელა საბატინის უნდა შეხვდეს.

რთული და დაძაბული ბრძოლა ჰქონდა უიმბლდონის შარშანწინდელ ჩემპიონს შვედ სტეფან ედბერგს ისრაელის ჩემპიონ ამოს მანსდორფთან. ედბერგმა გამარჯვება მხოლოდ მეხუთე გადამწყვეტ პარტიაში მიაღწია: 6:4, 5:7, 3:6, 6:2, 9:7. ასევე ხუთი პარტია დასჭირდა ამერიკელ მაიკლ ჩანგს ავსტრალიელი მარკ კრატცმანის დასამარცხებლად — 3:6, 4:6, 6:4, 6:2, 6:2.

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ივან ლენდლმა (ჩეხოსლოვაკია) ბინდის გამო ვერ დაამთავრა მატჩი ნაკლებადცნობილ ამერიკელ ბრაიან შელტონთან. მეტოქეებმა მხოლოდ თითო პარტიის მოგება მოასწრეს. ამ შეხვედრაში გამარჯვებულს ბრძოლა ავსტრიელ ალექს ანტონიჩთან მოუწევს.

სამოცდამეჩვიდმეტე „ტურ დე ფრანსი"

ამ ველორბოლას, რომელსაც ხშირად მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატსაც უწოდებენ, თითქმის საუკუნოვანი ისტორია აქვს და დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

შაბათს საფრანგეთის ქალაქ პუატიეში სტარტი მიეცა შეჯიბრებას, რომლის მონაწილეებმა 3399 კილომეტრი უნდა დაფარონ და 22 ივლისს პარიზში ფინიშის ხაზი გადაკვეთონ. 6,3 კილომეტრიანი პროლოგი — რბოლის დასაწყისი ფრანგმა ტიერი მარიმ მოიგო — 7.49,94. „ტურ დე ფრანსის" შარშანდელი ჩემპიონი, ამერიკელი გრეგ ლემონდი გამარჯვებულს 4 წამით ჩამორჩა. მესამე ადგილი მექსიკელ რაულ ალკალას ხვდა წილად.

კვირას კი რბოლის პირველი ეტაპი გაიმართა (138,5 კმ), რომელშიც ყველას ჰოლანდიელმა ფრანს მასეენმა აჯობა — 3:19.01. ფინიშზე ასეთივე შედეგი ჰქონდა კიდევ სამ ველოსიპედისტს, მათ შორის კანადელ სტივ ბაუერს, რომელიც რბოლის ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

„სპორტლოტო"

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტლოტოს" 1990 წლის 25-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45"-დან: ტირაჟში დაშვებულია 1.341.517 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (28) მოგება 1.967 მანეთია, ოთხისთვის (1.772) — 34, სამისთვის (28.632) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 35.130 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—31, 3—814.

„სპორტლოტო 5 36"-დან: ტირაჟში დაშვებულია 14. 124.321 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (43) მოგება 9.877 მანეთია, ოთხისთვის (4.964) — 158, სამისთვის (151.603) — 6.

საქართველოში: დაშვებულია 404.203 ვარიანტი. 5—0, 4—162, 3—3991.

25-ე და 16-25 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 14 ივლისიდან 14 აგვისტოს ჩათვლით.

რედაქტორი

თ. გაჩეჩილაძე.

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ჩოჩიშვილი. კორექტორები მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერანი" — 93-97-26, „სარკე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, ებეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779